საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1214-03
23/04/2021

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს N2543-03 და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N3508-03 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილების თანახმად, 2021 წლის 4 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით დღეები და 10-11 მაისი განისაზღვრა უქმე დღეებად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ კალენდარში ცვლილებების შეტანის საჭიროება.

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 აპრილის N3 სხდომის გადაწყვეტილების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 20 აპრილის N4008 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს N2543-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს პირველი დანართის სახით;
2. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N3508-03 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს მეორე დანართის სახით;
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი